ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

ხარება მოდებაძე - საკრებულოს წევრი 30.10.2025 წლიდან

მე, როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროპორციული სიით არჩეული წევრი და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს წევრი, წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში (30.10.2025 დან 01.10.2025 წწ) ჩემ მიერ გაწეული საქიანობის ანგარიშს.

ამავდროულად, ვარ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიების წევრი.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი საკრებულოს და კომისიის სხდომებს.

საკრებულოს სხდომები: ჩატარდა 17, დავესწარი — 15.

სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომები: ჩატარდა 5, დავესწარი — 3.

მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომები: ჩატარდა და დავესწარი — 8-ვე სხდომას.

საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონება.

3. ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცება.
4. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცება.
5. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება.
6. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცება.
7. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების მიმოხილვა და შეფასება.
8. ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცება.

ასევე, საანგარიშო პერიოდში სისტემარულად ვხვდებოდი მოსახლეობას , როგორც სამუშაო ადგილზე, ისე გასვლით შეხვედრებზე. მოსახლეობის ძირითადი პრობლემური საკითხები იყო სოციალური და ინფრასტუქტურული პრობლემები, კერძოდ:

1. სოფ აწყურის, თისელის და ტყემლანის შიდა გზების მოწესრიგება.
2. სოფ აწყურში, თისელსა და ტყემლანაშიგარე-განათების ახალი წერტილების მოწყობა.
3. სოფ აწყურის, ტყემლანის და თისელის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება.
4. სარწყავი წყლის პრობლემის მოგვარება.

მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემებიდან მოგვარებულია სოფ.თისელში გადასასვლელი ხიდ-ბოგირი, ნაწილობრივ მოგვარებულია შიდა გზების მოწყობა, გარე განათების მოწყობა, ხოლო დანარჩენი საკითხები ეტაპობრივად განიხილება.

შევსების თარიღი: 17.10.26

წარდგენის თარიღი: 30.10.2026

ხელმოწერა: [signature]